



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010112664932318

31 / აგვისტო / 2018 წ.
850/ს

**2018 წლის 29 აგვისტოს N250 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01) -
სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს
მიერ განხორციელებული სანიტარული ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული
რესურსის (ფიჭვის III ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) -სულ 160.952 - მ3)
შედეგების გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის #50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სანიტარული ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიწვოვანი 160.952 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N250) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის მოადგილის 2018 წლის 22 აგვისტოს N811/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 29 აგვისტოს N17083/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩატარებული N250 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01 - ფიჭვის ჯიშის III ხარისხის მერქნული რესურსი - 160.952 მ³) შედეგებით ლოტი N01 გამოცხადდა ჩაშლილად რადგან აუქციონში მონაწილეობა არავის მიუღია


1. აუქციონი N250 - ლოტი N01- 160.952 მ³ (III ფიჭვი).

2. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს 50-ე მუხლის, პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი ითვლება ჩაშლილად, თუ ელექტრონულ აუქციონზე ვერ განხორციელდა ქონების რეალიზაცია .

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



გრიგოლი ბლიაძე

